საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

27/03/2026

MES 8 26 0000366695

გადაწყვეტილება

შპს საქართველოს უნივერსიტეტის "ხელოვნებათმცოდნეობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა" და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან" საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობაში მოყვანისა და კვალიფიკაციის კოდის ცვლილების შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების“ აკრედიტაციის დებულების (შემდგომში - აკრედიტაციის დებულება) 31-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, აკრედიტაციის პირობების შესრულების შემოწმება ხორციელდება გეგმიური და/ან არაგეგმიური მონიტორინგის გზით.

1.2. აკრედიტაციის დებულების 31-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, არაგეგმიური მონიტორინგი ხორციელდება საბჭოს შუამდგომლობით, ცენტრში საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შესრულებასთან დაკავშირებით წარდგენილი საჩივრის საფუძველზე და/ან ცენტრის ინიციატივით.

1.3. აკრედიტაციის დებულების 31 - ე მუხლის 25 - ე პუნქტის მიხედვით, იმ შემთხვევაში თუ, აკრედიტაციის პირობების შესრულების შემოწმების შედეგად დადგინდება, რომ დაწესებულების მიერ ყველა რეკომენდაცია შესრულებულია, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის თაობაზე.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2. შპს საქართველოს უნივერსიტეტის "ხელოვნებათმცოდნეობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას აკრედიტაცია მიენიჭა 2019 წლის 26 მარტის №71 გადაწყვეტილებით.
2.1.“აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და შპს საქართველოს უნივერსიტეტის "ხელოვნებათმცოდნეობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე არაგეგმიური მონიტორინგის განხორციელების შესახებ“ ცენტრის დირექტორის 2026 წლის 27 იანვრის მაისის №75527 ბრძანების საფუძველზე, შეიქმნა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი (შემდგომში ექსპერტთა ჯგუფი). აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა, შპს საქართველოს უნივერსიტეტის მიერ ცენტრში 2024 წლის 28 ნოემბრის №9745 (ცენტრში რეგისტრაციის №1701828; 01/12/2025) წერილით წარმოდგენილი "ხელოვნებათმცოდნეობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან" და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან" შესაბამისობის დადგენის მიზნით, შეფასების განხორციელება.
2.2. საბჭომ გადაწყვეტილება მიიღო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე. შესაბამისად, საბჭომ მიიჩნია, რომ "ხელოვნებათმცოდნეობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“. შესაბამისად, მიზანშეწონილია შეწყდეს "ხელოვნებათმცოდნეობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

3. სარეზოლუციო ნაწილი

აკრედიტაციის დებულების 27^2 - ე მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25 -ე პუნქტის, 30-ე მუხლის მე-3 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტრის 2011 წლის 01 ივნისის №233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,

გადაწყვიტა:

1. შეწყდეს შპს საქართველოს უნივერსიტეტის "ხელოვნებათმცოდნეობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.
2. მიჩნეულ იქნეს, რომ "ხელოვნებათმცოდნეობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.
3. საგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცეს უფლება "ხელოვნებათმცოდნეობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა განახორციელოს დანართი №1-ით განსაზღვრული მონაცემების მიხედვით.
4. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
5. ცნობილ იქნას აკრედიტაციის საბჭოს 2026 წლის 27 მარტის №366686 სხდომის ოქმის №11 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).

6. საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2026 წლის 27 მარტს.
7. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) დაწესებულების ინფორმირების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

დანართი №1

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ხელოვნებათმცოდნეობა/Art History
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	გადაწყვეტილება № 71, 26.03. 2019
5	საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ხელოვნებათმცოდნეობა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	ხელოვნებათმცოდნეობის ბაკალავრი/Bachelor of Arts
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0213 სახვითი ხელოვნება /Fine Arts
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	კოსტავას 77, თბილისი, 0171, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-
16	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2026 წლის 27 მარტი
17		-

	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა	
18	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	31/12/2030

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს სხდომის თავმჯდომარე,
აფთარაშვილი ქეთევან